



უნივერსიტეტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაში

№2 (69-70) 2017

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 99 წლისაა

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დღევანდელი ალმათეის სხენის დღეს გაიხსნა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 99 წლის წინ ევროპული განათლებისა და ღირებულებების მატარებელი ქართული ინტელექტუალების მიერ დაარსდა და დღესაც ლიდერ უნივერსიტეტად რჩება საქართველოსა და რეგიონში.

უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე სწავლობს 20000-ზე მეტი სტუდენტი; თსუ-ში მოქმედებს 210-ზე მეტი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა; ყოველწლიურად უნივერსიტეტში 200-მდე სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება, რომელშიც სტუდენტებს პირველი კვლევითი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა ეძლევათ. თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია რეგიონიდან, რომელიც მოხვდა Times Higher Education



ბატონოვანა მ-3 გვ.

პროექტების ახალი სტანდარტები თსუ სტუდენტებისთვის



ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლიდან სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი წესი ამოქმედდება, რომელიც ფინანსების მეტ ხელმისაწვდომობას და პროექტებში განსხვავებული ინტერესების მქონე ჯგუფთა ჩართვას უზრუნველყოფს.

პირველი ცვლილება დაფინანსების გამცემი საუნივერსიტეტო საბჭოს შექმნას და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა საჯარო ცნობადობას უკავშირდება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თსუ წესდების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გიორგი შარვაშიძის

გვ. 2

სტუდენტები უნივერსიტეტის შესახებ



უნივერსიტეტის 99 წლის იუბილე, სხვა დონის მიხედვით, ერთად, წარმატებული სტუდენტების დამატებითაც აღინიშნა. სტუდენტები უნივერსიტეტის გამოცემის წიგნებით დასაჩუქრდნენ, მათ შორის 7 საუკეთესო თითოეული ფაკულტეტიდან კი სპეციალური საჩუქრები გადაეცათ. ისინი თსუ-ში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შესახებ ვიდეოებში.

ელისაბედ კენკიშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:

უნივერსიტეტი ჩემი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ეს არის ადგილი სადაც შესაძლებელია ადამიანის პიროვნული და გონებრივი განვითარება. უნივერსიტეტში მომცა შესაძლებლობა განათლება მიმეღო ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში თსუ-ს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი

გავლენა მოახდინა ჩემს პროფესიულ ცხოვრებაზე. თსუ-ში ძალიან ბევრი წარმატებული სტუდენტი სწავლობს, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძვიან თავიანთი განვითარებისთვის. შესაბამისად, კონკურენციაც ძალიან მაღალია და ასმაგად უფრო მეტი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ძლიერა შორის რამეს მიაღწიო. რა თქმა უნდა, როდესაც უნივერსიტეტი გამოგარჩევს, რაიმე კუთხით, ძალიან სასიხარულოა, ამ დროს გრძობ რომ შრომა ვიფასდება. ეს არის ერთგვარი მოტივაცია კიდევ უფრო მეტს გასაკეთებლად.

აბიგუნიტის ვურჩევდი, რომ არ შეუშინდნენ სირთულეებს და არასდროს შეეჩინან იმის ილუზია, რომ არსებობს რაიმე შეუძლებელი სწავლა. უნივერსიტეტიდან მიღებულმა ცოდნამ შესაძლებლობა მომცა გამეგრძელებინა ჩემი პროფესიული საქმიანობა ერთ-ერთ წამყვან კომპანიაში. დღესთვის თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის

ბატონოვანა მ-3 გვ.

აბიგუნიტის ვურჩევდი

ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სახელებისა და აბიგუნიტებისთვის არსებული შესაძლებლობების შესახებ.

გვ. 4

თსუ-ს ახალი სტუდენტური საერთო სასტუმროები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ახალი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი გადაეცა. ამის შესახებ ინფორმაცია 8 თებერვალს, უნივერსიტეტის იუბილეზე გახდა ცნობილი. საერთო საცხოვრებელი 320 ადგილიანია და ლისის გზის მიმდებარე გერმანიის მდებარეობს. საერთო საცხოვრებელი მოიცავს 3 საცხოვრებელი კორპუსს და ადმინისტრაციული შენობას. ასევე კაფეტერიას, საკონფერენციო ოთახს, სამედიცინო პუნქტს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერების ოთახს, სამრეცხაო და სხვა დამხმარე სახის ინფრასტრუქტურას. შენობის გარეთ გაკეთებულია შიდა გზები და ბილიკები, ღია ტიპის სპორტული მოედანი, ვარე გრენაუორები და მოეწყო ვარე განათება. სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ამოქმედებისა და განთავსების პირობები გადმოცემის ოფიციალური პროექტების გაფორმების შემდეგ გახდება ცნობილი.



საერთაშორისო ელექტრონული რესურსები



გვ. 7

საერთაშორისო სტანდარტის ლაბორატორიები თსუ-ში



2016 წელს ლაბორატორიების მსოფლიო რუკაზე თსუ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია Fab Lab-ი გამოჩნდა. ლაბორატორიამ Fab Lab-ების მსოფლიო ასოციაციაში გასაწევრიანებლად ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა. Fab Lab-ების მსოფლიო ქსელის წევრობა უნივერსიტეტის მაღალი კორპუსში განთავსებულ ლაბორატორიის სამუშაოებს აძლევს აქტიური კომუნიკაცია დაამყაროს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მდებარე Fab Lab-ებთან, მიიღოს და გაავრცელოს ინოვაციების დარგში არსებული ცოდნა და გამოცდილება. უნივერსიტეტის Fab Lab-ს უკვე აქვს აქტიური კომუნიკაცია დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქში არსებულ სხვა Fab Lab-ებთან. Fabrication Laboratory (FabLab) TSU – სრულიად ინოვაციური დაწესებულება ქართულ რეალობაში. სამრეწვე-

გვ. 2

იყავი წარმატებული თსუ-სთან ერთად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი გრადუის, პროფესორ-მასწავლებლებთან და რესურსებთან ერთად, პირველ რიგში, სტუდენტები ამიყვანს – იმ სტუდენტებით, რომლებიც სხვადასხვა ასპარეზზე აღწევნენ წარმატებას, ამ თვალსაზრისით გამოჩენილი არც 2016 წელი ყოფილა. დღეს მხოლოდ რამდენიმე მათგანის შესახებ ვიამბობთ:



მუსკ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მაგისტრანტები თეონა რუსია (ინფორმაციული ტექნოლოგიები) და ირმა მასარაძე (ინფორმაციული სისტემები), გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამამ (WFP) 6 თვიანი ანაბელაურებული სტაჟურებისთვის შეარჩია. მათ სტაჟურების რომში გაიარეს. გაეროს მსოფლიო



სასურსათო პროგრამის ეს ინიციატივა გულისხმობს გაეროს სტრუქტურებში საინფორმაციო ტექნოლოგიის მიმართულებით ქალთა ჩართულობის მხარდაჭერას და ამ პროფესიის ახალგაზრდა ქალი კანდიდატების დასაქმების ხელშეწყობას. კანდიდატებმა შერჩევითი რამდენიმე ეტაპი გაიარეს, მათ შორის skype ინტერვიუები. ირმა და თეონა ორგანიზაციის მონაცემთა

ბაზების და ვებ-გვერდის მართვა-განახლებაზე მუშაობდნენ.

თსუ პუმინგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელევიზიის სპეციალობის კურსდამთავრებულის, იმა თათბერიძის სადიპლომო ნამუშევარი, საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალზე სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა. ფესტივალზე დარეგისტრირებული 768 ფილმს შორის 81 პირმა, მათ შორის იმა ფილმის რეჟისორიანი ფილმის „მხოლოდ ერთი კონცა“, მონაწილეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები არიან.

იმა, სამომავლოდ, მაგისტრანტურაში ჩაბარებას და რეჟისურაში ცოდნის გაღრმავებას გეგმავს, მანამდე კი კინო-ტელევიზიის მიმართულებაზე ვიდეომონტაჟზე მუშაობს.



თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურსულაბამთავრებული ნინო ნანიგაშვილი ამერიკის სახელმწიფო ლეპარტამენტში „ამომავალი ლიდერის“ გლობალური დაჯილდოვდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 10 ახალგაზრდა შეარჩია. ამერიკის სახელმწიფო ლეპარტამენტის ინტერესი ნინო ნა-

ბატონოვანა მ-2 გვ.

აბიტურიენტის მებზური 2017

საბაკალავრო საბანაინათლებლო ჰიშხაბები:

- ✓ პოლიტიკის მეცნიერება;
- ✓ ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციები (ქართულენოვანი და ქართულ-რუსულენოვანი პროგრამები);
- ✓ საერთაშორისო ურთიერთობები;
- ✓ სამოგადოებრივი გეოგრაფია;
- ✓ სოციოლოგიური მუშაობა;
- ✓ სოციოლოგია.

საბაკალავრო საფეხურზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების გარდა, ყველა მიმართულება სწავლების ძირითად სპეციალობასთან (major - 120 კრედიტი) ერთად, გათვალისწინებულია დამატებითი (minor - 60 კრედიტი) სპეციალობების, რომელთა კომბინირებაც სტუდენტის სურვილებზე დამოკიდებულია.

საბაკალავრო ჰიშხაბებზე მიღების ჰიშხაბები:

საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე; ჩასაბარებელი საგნებია: მოგადი უნარები; ქართული ენა; უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული); ისტორია/გეოგრაფია/მათემატიკა.

მისალზი ჰონსინბაბები:

- სამოგადოებრივი გეოგრაფია - 60;
- სოციოლოგია - 60;
- სოციოლოგიური მუშაობა - 40;
- პოლიტიკის მეცნიერება - 70;
- საერთაშორისო ურთიერთობები - 60;
- ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციები - 70;
- ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციები (ქართულ-რუსული) - 40.

მისანიჰაბი ჰანიფიანსი / ესაჰაბა:

საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი (Baccalaureus Artium) შესაბამის დარგში. ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, მოქმედი პროგრამების დასრულების საფუძველზე მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, ეძლევა შესაძლებლობა დასაქმდნენ საჯარო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში, სხვადასხვა სახის მედია და საინფორმაციო სამსახურებში.

ხაშხაბი სბაბაბაბისთვის:

ფაკულტეტს ემსახურება 64 პროფესორი, ასევე მოწვეული ადგილობრივი და უცხოელი პროფესორები.

ფაკულტეტზე მოქმედებს: 2 რესურს-ცენტრი, ტელერადიო ლაბორატორია და მულტიმედია-ცენტრი, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. სტუდენტების მხარდაჭერა: ფაკულტეტი სტუდენტთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობით, სავსე პრაქტიკებით, სასწავლო-სტუდენტური ჟურნალ-გამეთვების გამოცემით; სამღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და მოდელირებულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხარჯების დაფარვით.

ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ სამღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით. ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები ფინანსდებიან სახელმწიფო და სახელობითი სტიპენდიებით.

ფაკულტეტზე შექმნილია შესაბამისი პირობები სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების გასაფართოებლად; ამ მიზნით ფაკულტეტი ატარებს რეგულარულ საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებს. ამასთანავე ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტთა ორი სამეცნიერო ჟურნალი - "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი" www.jyr.tsu.ge და "სტუდენტთა ჟურნალი სოციოლოგიის მეცნიერებებში" www.sjss.tsu.ge.

ინგლისური ენის სწავლება: სოციოლოგი და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სპეციალობების საჭიროებებიდან გამომდინარე, სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი უცხო ენა ჩააბარა სტუდენტმა მისაღებ გამოცდაზე. ფაკულტეტი ხელმძღვანელობს ინგლისური ენის სწავლების შედეგზე ორიენტირებული სისტემით, რაც გულისხმობს ინგლისური ენის B2 დონეზე ათვისებას.

საქონსაბო ინფორმაცია:

0179, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N8, VI კორპუსი.
 ტელ.: (+995 32) 2 29 05 94 (დეკანატი).
 ტელ.: (+995 32) 2 25 17 35 (სასწავლო დეპარტამენტი).
 (+995 32) 2 22 11 01 (233) (სტუდენტთა მომსახურების ცენტრი).
 ფაქსი: (+995 32) 2 29 05 94.
 ვებგვერდი: <http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/social/news>
<https://www.facebook.com/groups/TSU.SOCPOL/>



უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერებისა და სპეციალობების განვითარება მისი დამაარსებლის - ივანე ჭავჭავაძის სახელთანა დაკავშირებული. ეკონომიკის ფაკულტეტი დამოუკიდებელ სტრუქტურად 1931 წელს ჩამოყალიბდა 1922 წელს გახსნილი სოციოლოგი-ეკონომიკური ფაკულტეტის ბაზაზე.

დღევანდელი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა უკანასკნელ წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, ბოლონის პროცესის შესაბამისად.

ფაკულტეტის მიზანია სისტემური და უწყვეტობის პრინციპებზე დაფუძნებული მალახარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის ეკონომიკური და ბიზნეს-განათლების უზრუნველყოფა, შრომის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელების რაოდენობის მიხედვით.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტთა სანარმოო პრაქტიკებს, სტაჟირებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკით გამყარებას. ამ მიზნით იგი სხვადასხვა კერძო სანარმოსა თუ სახელმწიფო სტრუქტურასთან დებს ხელშეკრულებებს და აფორმებს მემორანდუმებს.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ამჟამად სწავლობს 5300-ზე მეტი სტუდენტი, ხოლო პროფესორთა რაოდენობაა აჭარბებს 100.

საბაკალავრო საბანაინათლებლო ჰიშხაბები:

- ✓ ეკონომიკა;
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირება;
- ✓ ტურიზმი;
- ✓ ეკონომიკა (ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET).

მიღების ჰიშხაბები:

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა წარმატებით უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში:

- ✓ ქართული ენა და ლიტერატურა;
- ✓ უცხო ენა;
- ✓ მოგადი უნარები;
- ✓ მათემატიკა.

მისალზი ჰონსინბაბები:

- ეკონომიკის პროგრამა - 400 (100%-იანი სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება);
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა - 300;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა - 25;
- ეკონომიკის ინგლისურენოვანი პროგრამა - 50.

მისალზი ჰანიფიანსი / ესაჰაბა:

ეკონომიკის ბაკალავრებსა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ სახელმწიფო დაწესებულებებსა და კომერციულ სტრუქტურებში, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის აპარატში, პრემიერის ადმინისტრაციაში, მთავრობის კანცელარიაში, ეკონომიკური პროფილის სამინისტროებში, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლობებში, ეროვნულ და კო-



თსუ Fab Lab-ში



NASA-ს მთავარი ინჟინრის სპეციალური ლექცია თსუ-ში



თსუ არქეოლოგებმა გრაკლიანი გორაზე ახალი არქეოლოგიური არტეფაქტები აღმოაჩინეს



თსუ პროფესორების წინის „ჭიათურის მუნიციპალიტეტის კარსკული მღვიმეები“ პრეზენტაცია სვერის კარსკულ მღვიმეში



იაპონელი პოეტის ასუპირთ იოცუმოგის მოხსენება - „თანამედროვე იაპონური პოეზია“



ვარძის სტუდენტ-არქეოლოგთა მერვე საერთაშორისო კონფერენცია

